ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01263154090**
თარიღი: **11/11/2026**

ადრესატი: ნატალია ქურდაძე
პირადი ნომერი: 47001009017
მისამართი: თბილისი ცაიშის ქ. N 2ა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2026 წლის 6 ნოემბრის №01263102624-67 (01262523862-67) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩა №2ა-ში, საკადასტრო კოდით: №01.16.03.013.088 (ფართობი: 214.0 კვ.მ) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციისთვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე თბილისის მერის ბრძანებაში ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოს №დ16-01253443 (10.12.2025) დასკვნის საფუძველზე გაცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №ბ01.012534416 (10.12.2025) ბრძანებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (მიშენება) მიზნით.

მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში წარმოდგენილი დასაბუთების ალბომის განხილვის შედეგად დგინდება, რომ საპროექო წინადადებით არ იცვლება სააგენტოს №დ16-01253443 დასკვნით დადგენილი პირობები და დაცულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით დადგენილი პარამეტრები (კ1=0.5; კ2=0.8; კ3=0.3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, აღნიშნული შენობის ზუსტი განთავსება საპროექტო მიწის ნაკვეთზე, მისი ესთეტიკური თუ სხვა სახის არქიტექტურული და გეგმარებითი პარამეტრები შემდგომი განხილვის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, შენობის კონფიგურაციის ცვლილება აღარ საჭიროებს ახალ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას ან გაცემულ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაში ცვლილების შეტანას და იგი უნდა განხორციელდეს უკვე გაცემული შეთანხმების ფარგლებში.

აღნიშნული დეტალები (კონფიგურაცია, ვიზუალური მხარე და სხვა) სრულყოფილად უნდა დაზუსტდეს და შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესაბამის სტადიაზე.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება თქვენი 2026 წლის 6 ნოემბრის №01263102624-67 (01262523862-67) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟიული შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნინო ბაგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/

სააგენტოს უფროსი

ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **d16.01253443**
თარიღი: **10/12/2025**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01253373922-67
განცხადების თარიღი:	03/12/2025
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.16.03.013.088
მისამართი :	ქალაქი თბილისი , ცაიშის ქუჩა N2ა
მესაკუთრეები :	ნატალია ქურდაძე,
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ნატალია ქურდაძე
პირადი ნომერი :	47001009017
მისამართი :	თბილისი ცაიშის ქ. N 2ა
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ნატალია ქურდაძე
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	საცხოვრებელი ზონა
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	157.27
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ დაგვიდგინოთ ინდივიდუალური პარამეტრები

განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩა #2ა, ს.კ. 01.16.03.013.088. ნაკვეთის ფართობია 214 კვ.მ. ცაიშის ქუჩის მხრიდან სიგანე 8.40 მ სიღრმე 23.60 მ. მიწის ნაკვეთზე იგეგმება არსებული შენობა #2-ის დემონტაჟი და შენობა #1-ზე მიშენება, შედეგად მივიღებთ ორსართულიან საცხოვრებელ სახლს. ჩვენ მოვახდინეთ შენობა #1-ის ლეგალიზაცია და დავარეგისტრირეტ საჯარო რეესტრში. მიწის ნაკვეთი არ აკმაყოფილებს საცხოვრებელი ზონის მინიმალურ პარამეტრებს. გთხოვთ დაგვიდგინოთ მინიმალური პარამეტრები.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია
გადაწყვეტილების დასაბუთება :	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.16.03.013.088; ფართობი: 214 კვ.მ)) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს, რომელსაც არ აქვს მინიჭებული კონკრეტული ქვეზონა. ნაკვეთისთვის კონკრეტული ქვეზონის პარამეტრების მინიჭება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-19 მუხლით განსაზღვრული კვლევის ან ქალაქთმშენებლობითი კადასტრის საფუძველზე. დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის საკადასტრო მონაცემებიდან, ადგილმდებარეობიდან, გარემო განაშენიანების ინტენსივობიდან და ქალაქგეგმარებითი ხასიათიდან გამომდინარე საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ–2)–ის რეგულაციებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)-ში განაშენიანების დომინირებული სახეობაა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1=0.5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2= 0.8 მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.3 მინიმალური ფართობი 250 კვ.მ მინიმალური სიგანე 9 მინიმალური სიღრმე 15 მ. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15 მ. იმავე გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონა: პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი. საპროექტო მიწის ნაკვეთის გარემო წარმოადგენს მკვეთრად ჩამოყალიბებული დაბალი ინტენსივობის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებულ სივრცეს. დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთს სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება მისასვლელი სამანქანო გზა, საპროექტო ტერიტორია მოქცეულია განაშენიანების კონტურში. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობით განთავსებულია ორი შენობა,

	რომელთაგან N2 შენობა ექვემდებარება დემონტაჟს, ხოლო საპროექტო წინადადებით იგეგმება N1 შენობის რეკონსტრუქცია (მიშენებით). სარეკონსტრუქციო შენობა ლეგალიზებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №7519462 (25.06.2025) ბრძანებით. ვინაიდან, ნაკვეთზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - წყალმომარაგების ძირითადი ქსელი, რომლის მესაკუთრის პოზიცია და შეთანხმებული გენგეგმა წარმოდგენილია წინამდებარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. დასაბუთების ალბომში წარმოდგენილია ტერიტორიაზე არსებული შენობის მიერ ათვისებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ამსახველი სქემები, ასევე საპროექტო წინადადებით ასათვისებელი კოეფიციენტები, რომლებიც შეესაბამება ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისთვის დასაშვები ფუნქციური ზონის (სზ-2) რეგულაციებს. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის სიგანე არ შეესაბამება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)-ის რეგულაციებს, საკითხი განიხილება ნაკვეთის განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის კუთხით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად.
დასკვნა :	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისთვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გარემოს ქალაქგეგმარებითი ხასიათი წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანებას, საპროექტო ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომლის რეკონსტრუქციით არ იცვლება გარემოს ქალაქგეგმარებითი ხასიათი და ნაკვეთს გააჩნია მოთხოვნილი ფუნქციით სამშენებლოდ განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და რესურსი, სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაშვებად მიაჩნია ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N2ა-ში მდებარე, N01.16.03.013.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (N01) რეკონსტრუქციის განსახორციელებლად ნაკვეთის განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა.

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ბრძანება:**ბ01. 012534416**

თარიღი:**10/12/2025**

ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N2ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.16.03.013.088) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01253373922-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N2ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.013.088) არსებული N01 შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისთვის (მიშენება) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01253373922-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) გიორგი ტყემალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდანერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

№ GG26-1255614 D 14.09.2026

ნატალია ქურდაძეს (პ/ნ:47001009017)
მობ: 595331483
Email: qurdadzenata@gmail.com

ასლი: სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს
მის: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში - **„კომპანია“**) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის ნომერი:IN26-1252958, თარიღი 7/14/2026, შემდგომში **„განცხადება“**), რომლითაც მოთხოვნილია 01.72.12.123.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (შემდგომში - **„მიწის ნაკვეთი“**) ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე თანხმობის გაცემა და გენ-გეგმის შეთანხმება, ვინაიდან „კომპანია“ წარმოადგენს „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განლაგებული (გამავალი) საინჟინრო ქსელების მესაკუთრეს/მფლობელს.

წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამ წერილში მოცემული ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობასთან „კომპანიის“ კუთვნილი საინჟინრო ქსელებიდან დადგენილი მინიმალური დაშორებები დაცულია. შესაბამისად, „კომპანია“, როგორც შესაბამისი საინჟინრო ქსელების მესაკუთრე/მფლობელი, თანხმობას აცხადებს „მიწის ნაკვეთზე“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე, წინამდებარე წერილსა და თანდართულ ცხრილში განსაზღვრული პირობების დაცვით.

ამასთან, განგიმარტავთ, რომ:

ა) იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდება, რომ შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე დატანილი „კომპანიის“ კუთვნილი საინჟინრო ქსელები სამშენებლო მოედანზე ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს გადის განსხვავებული ტრაექტორიით და აღნიშნული ტრაექტორიის გათვალისწინებით არ არის დაცული წინამდებარე წერილის ცხრილში განსაზღვრული მინიმალური დაშორებები, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეაჩეროთ სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნულის შესახებ აცნობოთ „კომპანიას“.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას სამშენებლო მოედანზე ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს გამოვლინდება სასმელი წყლისა ან/და წყალარინების ისეთი მილსადენი, რომელიც არ არის ასახული შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე და რომლის არსებობის შესახებ „კომპანიას“ ინფორმაცია არ გააჩნია, ხოლო აღნიშნული მილსადენი მდებარეობს წინამდებარე წერილის ცხრილში განსაზღვრულ მინიმალურ დაშორებებზე ნაკლებ მანძილზე, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეაჩეროთ სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნულის შესახებ აცნობოთ „კომპანიას“.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სამუშაოების გაგრძელება დაუშვებელია „კომპანიის“ მიერ შესაბამისი ინსტრუქციებისა და წერილობითი თანხმობის გაცემამდე. საინჟინრო ქსელების დაცვის, გადატანის, რეკონსტრუქციის, მოწყობის ან/და დადგენილი მინიმალური დაშორებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ღონისძიება და შესაბამისი ხარჯი სრულად დაგეკისრებათ თქვენ და დაფინანსდება თქვენი მხრიდან.

ცხრილი

საინჟინრო ქსელი	დაშორება (ჰორიზონტალური მანძილი) საპროექტო შენობასა **(ასაშენებელი შენობის გარე კედლის/საძირკვლის კიდიდან)** და საინჟინრო ქსელებს შორის **(მილსადენის გარე კედლამდე (გარსამდე))**. (მეტრი)	
	შენობა-ნაგებობების საძირკველი	ღობე
სასმელი წყალი და წნევიანი წყალარინება	5	3


თვითდენითი წყალარინება	3	1.5
სატუმბო სადგური	15	15
რეზერვუარი	30	30

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გივი ნადირაძე
ტექნიკური და საოპერაციო მიმართულების დირექტორი

სიტუაციური ნახაზი



1:300
მასშტაბი

0 1,75 3,5 7 10,5 14

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა
WGS_1984_UTM_Zone_38N

მისამართი	ქ. თბილისი, (ვაკის ქ. №2ა (ს/კ 01.16.03.013.088)	ფართობი: 214 კვ.მ
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	

პირობითი აღნიშვნები
- ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი ფიქსირებული
- 01/1 შენობა-ნაგებობა / მანძილი შენობიდან საინჟინრო ქსელებამდე
- წყალმომარაგების ქსელი
- წყალანირების ქსელი
- ურნული, ჭა, რეგულატორი

მ/პ "თამარ ალთუნაშვილი"
შპს "Tamar Altunashvili Enterprise"
ტელ. 568339903
ელ-ფოსტა: tamaraltunashvili888@gmail.com
ქ. თბილისი, შარტავას ქ. #2ა

საკადასტრო აღწერის უფლებამოსილი პირი	ა. ალთუნაშვილი (01024068303)
დაინტერესებული პირი	ნ. ქურდაძე (47001009017)

თარიღი : 10.07.2026წ.